საქართველოს მთავრობის

დადგენილება №382

2020 წლის 25 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და მუხლი 1^{18}-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{19} მუხლი:

„მუხლი 1^{19}. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-15 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია ერთ ობიექტზე დღეში ერთხელ 100 ლარამდე ღირებულების ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის, ასევე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამარტივებული წესით ჩამოწერის შესახებ შეტყობინების დადასტურება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**